საჯარო მმართველობის რეფორმის

2019 2020

წლების სამოქმედო გეგმის პროგრამა ანგარიში

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

შინაარსი

გვ.3 შესავალი

გვ.4 შეჯამება

გვ.5 ზოგადი პროგრესი

- გვ.9 პოლიტიკის დაგეგმვა
- გვ.17 საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა
- გვ.21 ანგარიშვალდებულება
- გვ.25 სახელმწიფო სერვისების მიწოდება
- გვ.31 საჯარო ფინანსების მართვა
- გვ.33 ადგილობრივი თვითმმართველობა

გვ.41 გამოწვევები, რისკები და რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობის
ადმინისტრაცია
პოლიტიკის დაგეგმვისა
და კოორდინაციის
დეპარტამენტის
საჯარო მმართველობის
სამმართველო

შესავალი

- პოლიტიკის დაგეგმვა
- საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა
- ანგარიშვალდებულება
- სახელმწიფო სერვისების მიწოდება
- საჯარო ფინანსების მართვა
- ადგილობრივი თვითმმართველობა

გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეფექტური სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოში 2015 წელს დაიწყო საჯარო მმართველობის რეფორმა (რეფორმა), რომლის კოორდინაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას დაევალა. საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელება ფუნდამენტურ როლს თამაშობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ თანახმად, ქვეყანამ უნდა განახორციელოს სიღრმისეული რეფორმები საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის მიმართულებით[1].

ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროექტის (OECD/SIGMA) ექსპერტების მხარდაჭერით, შემუშავდა რეფორმის გზამკვლევი 2020,[2] რომელიც სტრატეგიული დოკუმენტია და საჯარო მმართველობის გაუმჯობესების მიმართულებით მთავრობის ძირითად ამოცანებს განსაზღვრავს. გზამკვლევის განხორციელების მიზნით, შემუშავდა სამოქმედო გეგმა 2015-2016, მოგვიანებით კი – სამოქმედო გეგმა 2017-2018 და 2019-2020 წლებისთვის.

რეფორმის უწყვეტობის და მასში მაღალი რანგის გადაწყვეტილების მიმღებ პირთა აქტიური ჩართულობის მიზნით, საქართველოს პრემიერმინისტრის ბრძანებით 2016 წლიდან შექმნილია საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭო (საბჭო), რომელსაც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ხელმძღვანელობს.

რეფორმა ევროკავშირის საჯარო მმართველობის პრინციპებს ეყრდნობა და 5 ძირითად, და ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით, დამატებით კიდევ ერთ მიმართულებას ითვალისწინებს, ესენია:

წინამდებარე დოკუმენტი საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის[3] პროგრეს ანგარიშს წარმოადგენს და მისი მიზანია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების პროგრესის ჩვენება, მიღწევებისა და ხარვეზების გამოვლენა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და დაინტერესებული მხარეებისთვის მიწოდება.

ანგარიში შემუშავდა რეფორმის საბჭოს სამდივნოს (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის საჯარო მმართველობის სამმართველო) მიერ პროცესში ჩართულ სახელმწიფო უწყებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

პროგრეს ანგარიშის სტრუქტურის შედგენისას სამდივნომ იხელმძღვანელა ერთი მხრივ, პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოთი, ხოლო მეორე მხრივ, SIGMA-ს საჯარო მმართველობის რეფორმისა და სექტორული სტრატეგიების მომზადების, განხორციელების, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების სახელმძღვანელოს მიერ შემოთავაზებული მიდგომებით.

პროგრეს ანგარიში მოიცავს 2019 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით პერიოდს (I-III კვარტალი).

---

[1] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთის მხრივ, საქართველოსა და, მეორეს მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, მუხლი 4.
[2] საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020.
[3] საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2019-2020.

მოკლე შეჯამება

აქტივობის შედეგის ინდიკატორების
განხორციელების მაჩვენებელი

რეიტინგი





მნიშვნელოვანი მიღწევები

- შემუშავდა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი და პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო 10 დანართით. შედეგად, შეიქმნა შედეგებზე ორიენტირებული პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის სამართლებრივი საფუძველი და ერთიანი სტანდარტი როგორც სახელმწიფო უწყებებისთვის, ასევე დაინტერესებული მხარეებისთვის.
- დამტკიცდა საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) შესახებ კანონპროექტი, რაც პრაქტიკად აქცევს საკანონდებლო ცვლილებების მომზადების პროცესში მტკიცებულებებსა და კონსულტაციებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებას; ხელს შეუწყობს დაგეგმილი ცვლილების მოქალაქესა და ბიზნესზე გავლენის სწორად შეფასებას.
- შემუშავდა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის რეგულაცია, რამაც უზრუნველყო საჯარო მოხელეების შესაძლებლობების განვითარებისთვის შექმნილი სასწავლო პროგრამების ხარისხის კონტროლი. საანგარიშო პერიოდში აკრედიტაცია მიენიჭა სამი სასწავლო ცენტრის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამებს.
- 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმისა და პროგრეს ანგარიშის შემუშავების პროცესში პრიორიტეტად იქცა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება.
- 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა ერთ-ერთი პირველია ქვეყნის მასშტაბით, რომელიც მოსალოდნელ შედეგებს ამოცანის შედეგის ინდიკატორებით (რაოდენობრივი/ხარისხობრივი საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები) ზომავს.

ძირითადი გამოწვევები

- სამუშაოს მოცულობის არასათანადოდ შეფასება და შესაბამისად, განხორციელების ვადების არასწორად განსაზღვრა
- ადამიანური რესურსის ნაკლებობა

ფინანსური დანახარჯი

ზოგადი პროგრესი

რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება

რეფორმის რიგით მესამე, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა 2019 წლის 10 ივნისს, საქართველოს მთავრობის N274 დადგენილებით დამტკიცდა.

სამოქმედო გეგმა რეფორმის საბჭოს სამდივნოს მიერ SIGMA-სთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინტენსიური თანამშრომლობით შემუშავდა. სამოქმედო გეგმის თითოეული ამოცანის შედეგის გაზომვის მიზნით შემუშავდა შედეგის ინდიკატორები კონკრეტული რაოდენობრივი ან ხარისხობრივი საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების მითითებით.

შესაბამისად, გაანალიზდა არსებული მდგომარეობა და შედეგი, რომელიც სამოქმედო გეგმის თითოეული ამოცანის განხორციელებას უნდა მოყვეს. აღსანიშნავია, რომ საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში პირველად იქნა გამოყენებული საჯარო კონსულტაციების ელექტრონული მეთოდი.

პროგრეს ანგარიშის შემუშავების მეთოდოლოგია

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესი რამდენიმე ეტაპად დაიყო:

I ეტაპი

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჩარჩო 2 კვირის ვადით გაეგზავნათ გეგმის პასუხისმგებელ უწყებებს პროგრესის შესახებ ინფორმაციის სამდივნოსთვის მისაწოდებლად. ობიექტური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანგარიშის მომზადების მიზნით, სამდივნომ მონიტორინგის პროცესში პირველად გამოითხოვა თითოეული აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებული დადასტურების წყაროები

II ეტაპი

სამდივნომ დაამუშავა მიღებული ინფორმაცია და კომენტარებისთვის 2 კვირის ვადით პროცესში ჩართულ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს წარუდგინა

III ეტაპი

სამოქალაქო საზოგადოებისგან კომენტარების მიღების შემდგომ, სამდივნომ წარმოდგენილი ინფორმაცია დაამუშავა და პროგრეს ანგარიში მოამზადა, რომელიც სამოქმედო გეგმის აქტივობათა შედეგის ინდიკატორებს 2019 წლის III კვარტლის მდგომარეობით აფასებს

მონიტორინგის მეთოდოლოგიის თანახმად, აქტივობათა შედეგის ინდიკატორები შემდეგი კრიტერიუმებით შეფასდა:

მონიტორინგის კრიტერიუმები

რეიტინგი	სრულად შესრულდა	აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესასრულებლად დაგეგმილი განხორციელების ყველა ეტაპი სრულად შესრულდა (100%)
	ნაწილობრივ შესრულდა	აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესასრულებლად დაგეგმილი განხორციელების ეტაპების სულ მცირე ნახევარი შესრულდა (სულ მცირე 50%)
	არ შესრულდა	აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესასრულებლად დაგეგმილი არც ერთი განხორციელების ეტაპი არ შესრულდა (0%)

მონიტორინგის კრიტერიუმები

სტატუსი

- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია
- განხორციელების პროცესი დასრულებულია

მონიტორინგის კრიტერიუმები აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულებას ასახავს. კერძოდ, რეიტინგი აქტივობის შედეგის ინდიკატორის შინაარსობრივ შესრულებას აფასებს (რა მოცულობით შესრულდა დაგეგმილი აქტივობა), ხოლო სტატუსი განხორციელების პროცესის შესახებ გვაძლევს ინფორმაციას.

გამოწვევების რეალურ რეჟიმში გამოსავლენად, მნიშვნელოვანია, დავინახოთ არა მხოლოდ შესრულებული საქმის მოცულობა, არამედ პროცედურული მიმდინარეობაც.

მაგალითად, შესაძლოა მონიტორინგის ეტაპისთვის აქტივობა უმეტესწილად შესრულდა, თუმცა, პრიორიტეტების ცვლილების ან/და სხვა მიზეზით, მისი დასრულება აღარ იგეგმება. ასეთ შემთხვევაში, შეფასების განხორციელების პროცესში, რეფორმის სამდივნოს აქვს შესაძლებლობა, გამოავლინოს შეჩერებული ან/და გაუქმებული აქტივობები, გამომწვევი მიზეზები და შესაბამის პასუხისმგებელ უწყებებთან თანამშრომლობით, მიიღოს საჭირო ზომები.

საანგარიშო პერიოდში მიღწეული პროგრესის მიმოხილვა

წინამდებარე პროგრეს ანგარიშის ფარგლებში, სულ შეფასებულია 16 აქტივობის შედეგის ინდიკატორი საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ოთხ სფეროში: პოლიტიკის დაგეგმვა, საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა, ანგარიშვალდებულება, სახელმწიფო სერვისების მიწოდება.

ვინაიდან საჯარო ფინანსების მართვისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებები არ მოიცავს 2019 წლის III კვარტლით განსახორციელებელ აქტივობებს, წინამდებარე დოკუმენტი მხოლოდ ზოგადად მიმოიხილავს საანგარიშო პერიოდში პასუხისმგებელი უწყებების მიერ შესრულებულ საქმიანობას.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობის შედეგის ინდიკატორები

2019, III კვარტალი

- პასუხისმგებელი უწყებების მიერ მოწოდებული სტატუს ანგარიშების, დადასტურების წყაროებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების უკუკავშირის გაანალიზების შედეგად, საანგარიშო პერიოდში აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულების მდგომარეობა შემდეგია:



მნიშვნელოვანი მიღწევები

- შემუშავდა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი
- შემუშავდა პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო 10 დანართით
- შემუშავდა და დამტკიცდა საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების შესახებ კანონპროექტი
- შემუშავდა პროფესიული საჯარო მოხელის როფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის რეგულაცია. შესაბამისად, დაინერგა პროფესიული განვითარების პროგრამების ხარისხის კონტროლის მექანიზმი
- სსიპ - იუსტიციის სახლში დაინერგა ევროკავშირში შექმნილი და აპრობირებული ხარისხის მართვის საერთაშორისო მექანიზმი - საერთო შეფასების ჩარჩო (CAF)
- შემუშავდა დეცენტრალიზაციის სტრატეგიის (2019-2025 წლების) დოკუმენტის საბოლოო სამუშაო ვერსია

ძირითადი გამოწვევები

საანგარიშო პერიოდში აქტივობის შედეგის ინდიკატორთა შესრულების პროცესში მთავარი გამოწვევებია აქტივობის შესასრულებლად საჭირო სამუშაოს მოცულობის არასათანადოდ შეფასება, აქედან გამომდინარე კი - განხორციელების ვადების არასწორად განსაზღვრა; გარდა ამისა, მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა არასაკმარისი ადამიანური რესურსის მიზეზით განპირობებული ხარვეზებიც.

მონიტორინგის პროცესში არასამთავრობო სექტორის ჩართულობა

სამოქალაქო სექტორის ჩართულობის დონე გაუმჯობესდა როგორც რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების, ასევე პროგრეს ანგარიშის მომზადების ეტაპზე.

დაგეგმვის ეტაპზე, სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია კომენტარებისა და რეკომენდაციებისთვის სამოქალაქო საზოგადოებასა და დონორ ორგანიზაციებს წარედგინათ. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებებისა და გეგმის დეტალური განხილვისთვის დამატებით საკონსულტაციო შეხვედრა მოაწყო. სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციების ნაწილი გეგმის აქტივობებად ჩამოყალიბდა.

მაგალითად, სამოქმედო გეგმას დაემატა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვალდებულება, რაც აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების გაუმჯობესებას გულისხმობს. მსგავსად, სამოქმედო გეგმის „ანგარიშვალდებულების“ ქვეთავში გაიწერა ღია მმართველობის პროცესის გაუმჯობესების შესახებ აქტივობები.

რაც შეეხება პროგრეს ანგარიშის შემუშავებაში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას, აღნიშნულს მონიტორინგის ცალკე ეტაპი დაეთმო, რომლის ფარგლებში რეფორმის სამდივნომ პასუხისმგებელი უწყებების მიერ წარმოდგენილი სტატუს ანგარიშები შეფასებისთვის 2 კვირის ვადით ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს გაუზიარა.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი რეფორმის საბჭოს სამდივნოს შეფასება სწორედ სამოქალაქო საზოგადოების მოსაზრებებისა და პასუხისმგებელი უწყებების მიერ წარმოდგენილი დადასტურების წყაროების ანალიზს ეფუძნება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პასუხისმგებელი უწყებების მიერ მითითებული რეიტინგები შემდეგი აქტივობის შედეგის ინდიკატორებისთვის შეიცვალა:

აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყების შეფასება	სამდივნოს საბოლოო შეფასება
აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამების რეიტინგები შექმნილია და მასზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია[4] (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. გვ.20)	სრულად შესრულდა	არ შესრულდა
ელექტრონულ სატრენინგო პლატფორმაზე განახლებულია კიბერუსაფრთხოების საბაზისო სატრენინგო მასალა[5] (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. გვ.29)	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
ანტიკორუფციული საბჭოს ელექტრონული პორტალის კონცეფციის შემუშავების მიზნით, საუკეთესო პრაქტიკის კვლევა შესრულებულია და გაზიარებულია სამუშაო ჯგუფთან[6] (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. გვ.14)	სრულად შესრულდა	არ შესრულდა

ფინანსები

2019 წლის III კვარტლით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად, სამოქმედო გეგმის ბიუჯეტის მიხედვით, გათვალისწინებული იყო დონორული დახმარება 135 868 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხიდან საანგარიშო პერიოდში დაიხარდა 76 007 ლარი.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში არ დახარჯულა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, ვინაიდან გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული რესურსი გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.

დონორული დახმარების დარჩენილი ნაწილის სრულად ათვისება მოხდება ეტაპობრივად, დაგვიანებით შესრულებული აქტივობების განხორციელების პროცესში.

[4] სამოქმედო გეგმა 2019-2020, მიმართულება: „საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა“, აქტივობა 2.1.4. აქტივობის შედეგის ინდიკატორი 2.1.4.2.
[5] სამოქმედო გეგმა 2019-2020, მიმართულება: „საჯარო სერვისების მიწოდება“, აქტივობის შედეგის ინდიკატორი 4.7.3.2.
[6] სამოქმედო გეგმა 2019-2020, მიმართულება: „პოლიტიკის დაგეგმვა“, აქტივობა 1.3.1. აქტივობის შედეგის ინდიკატორი 1.3.1.1-1.3.1.2

პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია

4 ამოცანა → 10 ამოცანის შედეგის ინდიკატორი → 17 აქტივობა → 30 აქტივობის შედეგის ინდიკატორი

2019 III კვ. → 10 აქტივობის შედეგის ინდიკატორი → მთავრობის ადმინისტრაცია → იუსტიციის სამინისტრო

- პოლიტიკის შემუშავების, კოორდინაციის და განხორციელების სისტემის გაუმჯობესება და საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარება
- პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების სისტემის დახვეწა
- ანტიკორუფციული პოლიტიკის დოკუმენტების ელექტრონულად შემუშავების პრაქტიკის ჩამოყალიბება
- საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების სისტემის დანერგვა





პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

ამოცანა 1.1: პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება და საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის დახვეწის მიზნით

აქტივობის შედეგის ინდიკატორები:

- პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი შემუშავებულია და დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით
- პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო შემუშავებულია, განხილულია სამუშაო ჯგუფში და დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით
- მომზადებულია პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს დანართები და დაბეჭდილია მთლიანი სახელმძღვანელო
- მომზადებულია პოლიტიკის შემუშავების ეტაპზე საჯარო კონსულტაციების გამართვის შესახებ კვლევის შესახებ ანგარიში, რომლის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები
- სისტემატიზებულია მასალები წლების და უწყებების მიხედვით მთავრობაზე დასამტკიცებლად წარდგენილი და დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტების და მათზე გაცემული რეკომენდაციების შესახებ

გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეფექტიანი სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ პრიორიტეტად განისაზღვრა პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის განვითარება მტკიცებულებებზე დაფუძნებული, შედეგზე ორიენტირებული და ერთიანი მთავრობის მიდგომის პრინციპების შესაბამისად.

OECD/SIGMA-ს მიერ 2017 წელს ჩატარებული საბაზისო კვლევის ანგარიშის[7] რეკომენდაციების შესაბამისად, ჩამოყალიბდა პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის განვითარებისა და შესაბამისი სამართლებრივი ბაზის მომზადებისთვის საჭირო აქტივობები.

აღნიშნულის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა პოლიტიკის შემუშავების პროცესის დახვეწასა და ევროპული სტანდარტების დანერგვაზე, მათ შორის, საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფაზე, სახელმწიფო უწყებებს შორის ეფექტურ კოორდინაციასა და პოლიტიკის შემუშავების კუთხით საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარებაზე.

[7] საბაზისო შეფასება: საჯარო მმართველობის პრინციპები, პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია, საქართველო, 2018 წ. მაისი, ხელმისაწვდომია აქ.

მნიშვნელოვანი მიღწევები

მომზადდა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი, რომელიც დასამტკიცებლად მთავრობას 2019 წლის დეკემბერში წარედგინება

წესის მიზანია შეიქმნას სამართლებრივი საფუძველი და მოწესრიგდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.

ამ მიზნით, წესი:

- განსაზღვრავს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების თითოეულ ეტაპს და მათ თანმიმდევრობას;
- აყალიბებს პოლიტიკის დოკუმენტების იერარქიას და ეროვნული, სექტორული და ინსტიტუციური პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, დამტკიცების, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების ერთიან სტანდარტს;
- ადგენს პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების ეტაპზე საჯარო კონსულტაციის გამართვის ვალდებულებას;
- გაწერს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის შესაბამისობის დადგენის პროცედურას;
- კოორდინაციის ხარისხის გაზრდის მიზნით, ადგენს პოლიტიკის დოკუმენტების ინიცირების წესს და შემოაქვს მთავრობის პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტების ყოველწლიური გეგმის შემუშავების ვალდებულება;
- აძლიერებს მთავრობის ადმინისტრაციის როლს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მხარდაჭერისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.

შემუშავდა პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო

პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესთან ერთად, ევროპული საჯარო მმართველობის პრინციპების შესაბამისად, საჯარო მოხელეებისა და OECD/SIGMA-ს ექსპერტების პრაქტიკული რეკომენდაციების გათვალისწინებით, განახლდა და დაიხვეწა არსებული მეთოდოლოგიური პაკეტი და ერთიან სახელმძღვანელოდ ჩამოყალიბდა.

განახლებული სახელმძღვანელო:

01 აყალიბებს პოლიტიკის დოკუმენტების ურთიერთმიმართებას;

02 აყალიბებს პოლიტიკის დაგეგმვის მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს;

03 განსაზღვრავს პოლიტიკის დოკუმენტების სტრუქტურას;

04 მოიცავს მიზნების, ამოცანებისა და მათი შედეგის ინდიკატორების შემუშავების ზოგად ინსტრუქციებს;

05 მოიცავს პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს;

06 მოიცავს პრაქტიკულ მაგალითებსა და რეკომენდაციებს;

07 მოიცავს მკაფიო მითითებებს ბიუჯეტირებაზე და პოლიტიკის დოკუმენტების კავშირს, როგორც წლიურ ბიუჯეტთან, ასევე ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან (BDD);

08 ერთ დოკუმენტში აერთიანებს პოლიტიკის ციკლის ყველა ეტაპს, მათ შორის მონიტორინგისა და შეფასების ნაწილებს და ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტს.

მომზადდა პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს 10 დანართი

პოლიტიკის ციკლის ცალკეულ ეტაპებთან დაკავშირებით კონკრეტული მაგალითებისა და შაბლონების შემუშავების მიზნით, მომზადდა სახელმძღვანელოს 10 დანართი.

დანართები მოიცავს:

- სიტუაციის ანალიზის ჩატარების ინსტრუქციას;
- ლოგიკური ჩარჩოს შემუშავების ინსტრუქციას;
- ინდიკატორის პასპორტის შემუშავების ინსტრუქციას;
- სამოქმედო გეგმის შემუშავების ინსტრუქციას;
- ბიუჯეტირების ინსტრუმენტს;
- საკოორდინაციო მექანიზმის შემუშავების ინსტრუქციას;
- ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუქციას;
- ერთიან ლექსიკონს.

შექმნილია მთავრობაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი და დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტების მონაცემთა ბაზა

ჩამოყალიბდა მთავრობაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი და დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტების მონაცემთა ბაზა. მთავრობაზე დასამტკიცებლად წარდგენილი და დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტების და მათზე გაცემული რეკომენდაციების შესახებ მასალები სისტემატიზებულია წლებისა და უწყებების მიხედვით.

ბაზაში ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- პოლიტიკის დოკუმენტის ტიპი;
- პოლიტიკის დოკუმენტი იერარქიაში;
- მაკოორდინირებელი უწყება;
- დამტკიცების თარიღი, მოქმედების ვადა;
- მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო;
- კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან.

საქართველოს პარლამენტის ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ მომზადებულია კვლევის ანგარიშის პირველადი ვერსია პოლიტიკის შემუშავების ეტაპზე საჯარო კონსულტაციების გამართვის საუკეთესო პრაქტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შესახებ და შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები

პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა ევროპული საჯარო მმართველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რაც მთავარობისთვის წარმოადგენს შესაძლებლობას, კონკრეტული პოლიტიკის დაგეგმვის საწყისი ეტაპიდან ერთი მხრივ, მოქალაქეებს მიაწოდოს ინფორმაცია და მეორე მხრივ, მიიღოს უკუგება.

პოლიტიკის შემუშავების პროცესში საჯარო კონსულტაციების წარმოების საუკეთესო პრაქტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შესწავლის მიზნით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ადამიანური და ფინანსური რესურსის დაზოგვის მიზნით, შეუერთდა საქართველოს პარლამენტის ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ "ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში პოლიტიკის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის რეგულაციებისა და პრაქტიკის შესახებ" კვლევის ანგარიშის შემუშავების პროცესს.

საანგარიში პერიოდისათვის მომზადებულია კვლევის ანგარიშის პირველადი ვერსია.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

ამოცანა 1.2: პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ხარისხის გაუმჯობესება შედეგზე ორიენტირებული მიდგომის და საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად

აქტივობის შედეგის ინდიკატორები:

- პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოსთან ერთად დამტკიცებულია მონიტორინგის და შეფასების ინსტრუქციები
- შეთანხმებული კონცეფციის საფუძველზე შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემის ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი

მნიშვნელოვანი მიღწევები

შემუშავებულია მონიტორინგის და შეფასების ინსტრუქციები

მონიტორინგი და შეფასება პოლიტიკის ციკლის განუყოფელი ნაწილია და მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსსა და კვალიფიკაციას საჭიროებს. აღნიშნული მიმართულებით ზემოთ ხსენებულმა წესმა განსაზღვრა სავალდებულო პროცედურული მოთხოვნები, ხოლო სახელმძღვანელომ - სარეკომენდაციო სტანდარტები.

პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის არსებული მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური პაკეტის დახვეწის ფარგლებში, სახელმძღვანელოს განახლებასთან ერთად მომზადდა მონიტორინგის და შეფასების ინსტრუქციები, რომელიც, მათ შორის

მოიცავს ინფორმაციას:

- მონიტორინგის მიზნის, მონიტორინგის ანგარიშების ტიპებისა და პერიოდულობის, მონიტორინგის ანგარიშების შაბლონისა და დეტალური ინსტრუქციის, ანგარიშის სტრუქტურისა და მისი მომზადების პრინციპების შესახებ;
- შეფასების დაგეგმვის, მისი მასშტაბების, შეფასების კრიტერიუმებისა და შესაბამისი კითხვებ-ის, გავლენის შეფასების მეთოდების, შეფასების ანგარიშის სტრუქტურისა და მისი მომზადების ძირითადი პრინციპების შესახებ.

მიმდინარე პროცესი

პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის განვითარებისა და დახვეწის ფარგლებში, მიმდინარეობს მუშაობა პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ელექტრონული მართვის სისტემაზე. სამთავრობო დონეზე პოლიტიკის დაგეგმვის ციკლის ყველა ეტაპის ერთიან ელექტრონულ სივრცეში მოქცევა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის კოორდინაციის პროცესს.

ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა გაამარტივებს ეროვნული და სექტროული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, ანგარიშგებისა და შეფასების მთლიან პროცესს. ამასთან, უფრო მეტად გამჭვირვალეს გახდის პოლიტიკის ციკლს და რაც მთავარია, მიმართული იქნება აქტივობების დუბლირების არსებული პრაქტიკის აღმოფხვრისაკენ.

აღნიშნული მიზნით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ, სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად, გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს ერთიან ელექტრონულ სისტემაზე მუშაობა. საანგარიშო პერიოდში მომზადდა ელექტრონული სისტემის ბიზნეს პროცესების ანალიზის დოკუმენტის პირველი სამუშაო ვერსია. პროცესი დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ამოცანა 1.3: ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების პროცესის გამჭვირვალობისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, პოლიტიკის დოკუმენტების ელექტრონულად შემუშავების პრაქტიკის ჩამოყალიბება

აქტივობის შედეგის ინდიკატორები:

- ანტიკორუფციული საბჭოს ელექტრონული პორტალის შემუშავების მიზნით საბჭოს წევრი უწყებების წარმომადგენლებისა და ტექნიკური პერსონალისგან შექმნილია დროებითი სამუშაო ჯგუფი
- საუკეთესო პრაქტიკის კვლევა შესრულებულია

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (ანტიკორუფციული საბჭო) მიერ ეროვნული ანტიკორუფციული სტარტეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის, ასევე მონიტორინგისა და შეფასების ეტაპების ელექტრონულ რეჟიმში გადატანის მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ (ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო) განახორციელა

სხვადასხვა ქვეყნებსა და საქართველოში არსებული ელექტრონული პორტალების შესახებ პრაქტიკის კვლევა.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა კვლევისა და პორტალის კონცეფციის პირველადი ვერსიები.

პორტალის შემუშავების მიზნით, სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა ანტიკორუფციული საბჭოს წევრი უწყებების წარმომადგენლებისა და ტექნიკური პერსონალისგან დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნას და აღნიშნულ ჯგუფთან შესრულებული კვლევის გაზიარებას. ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს ინფორმაციით, სამუშაო ჯგუფის შექმნის საჭიროება კონცეფციის შემუშავებამდე არ დამდგარა, თუმცა ჯგუფის შექმნა და მასთან უკვე შემუშავებული კვლევის შედეგების გაზიარება, უწყების ინფორმაციით, კვლავ იგეგმება.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

ამოცანა 1.4: მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების სისტემის ჩამოყალიბება, საკანონმდებლო აქტებზე რეგულირების გავლენის შეფასების დანერგვის გზით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:

- საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზემოქმედების შეფასების შესახებ კანონპროექტი შემუშავებულია

რეგულირების ზემოქმედების შეფასების სისტემა (Regulatory Impact Assessment - RIA) მტკიცებულებებზე დაყრდნობილი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ჩამოყალიბებას ემსახურება, რომლის ფარგლებში შესაძლებელია ინიციატივების შეფასება შესაბამისი ხარჯების, სარგებლისა და რისკების მიხედვით, რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საზოგადოებაზე ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური მიმართულებით. რეგულირების ზეგავლენის შეფასების მიზანია უპასუხოს ორ ფუნდამენტურ კითხვას: *არის თუ არა რეგულირების ჩარევა საჭირო და თუ კი, როგორია პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა?*

მნიშვნელოვანი მიღწევები

შემუშავდა და დამტკიცდა საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების შესახებ კანონპროექტი

საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების სისტემის დანერგვის მიზნით, ცვლილება შევიდა ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში.[8]

- შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივები შეფასდება ხარჯების, სარგებლისა და რისკების მიხედვით;
- უზრუნველყოფილ იქნება რეგულირების შედეგების უკეთესი გააზრება (ვინ მიიღებს სარგებელს, ვინ იტვირთავს ხარჯს), ასევე - პირდაპირი და ირიბი ზეგავლენების იდენტიფიცირება;
- დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივი კონსულტაციების გზით გაიზრდება კანონშემოქმედებითი პროცესის გამჭვირვალობა.

[8] საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, მუხლი 171.

რეფორმის საბჭოს სამდივნოს შეფასებით, პოლიტიკის დაგეგმვის მიმართულებით 2019 წლის III კვარტლის ბოლოს მდგომარეობით დაგეგმილი აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულების მდგომარეობა ასეთია:

№	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	რეიტინგი	სტატუსი
1	პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი შემუშავებულია და დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით	ნაწილობრივ შესრულდა[9]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
2	პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო შემუშავებულია, განხილულია სამუშაო ჯგუფში და დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
3	მომზადებულია პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს დანართები - ინსტრუქციები/შაბლონები; დაბეჭდილია მთლიანი სახელმძღვანელო	ნაწილობრივ შესრულდა[10]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4	მომზადებულია კვლევის ანგარიში პოლიტიკის შემუშავების ეტაპზე საჯარო კონსულტაციების გამართვის საუკეთესო პრაქტიკის და საკანონმდებლო ბაზის შესახებ და მის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
5	სისტემატიზებულია მასალები წლების და უწყებების მიხედვით მთავრობაზე დასამტკიცებლად წარდგენილი და დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტების და მათზე გაცემული რეკომენდაციების შესახებ	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
6	პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოსთან ერთად დამტკიცებულია მონიტორინგის და შეფასების ინსტრუქცია	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
7	შეთანხმებული კონცეფციის საფუძველზე შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემის ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
8	ანტიკორუფციული საბჭოს ელექტრონული პორტალის კონცეფციის შემუშავების მიზნით, საბჭოს წევრი უწყებების წარმომადგენლებისა და ტექნიკური პერსონალისგან შექმნილია დროებითი სამუშაო ჯგუფი	არ შესრულდა[11]	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა
9	ანტიკორუფციული საბჭოს ელექტრონული პორტალის კონცეფციის შემუშავების მიზნით, საუკეთესო პრაქტიკის კვლევა შესრულებულია და გაზიარებულია სამუშაო ჯგუფთან	ნაწილობრივ შესრულდა[12]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
10	საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზემოქმედების შესახებ კანონპროექტი შემუშავებულია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია

[9] აღნიშნული აქტივობის შედეგის ინდიკატორის სრულად შესასრულებლად საჭიროა დოკუმენტის მთავრობისთვის წარდგენა და დამტკიცება.
[10] აქტივობის სრულად შესასრულებლად საჭიროა საჯარო კონსულტაციების გამართვის ინსტრუქციის მომზადება და ერთიანი პაკეტის მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა.
[11] დროებითი სამუშაო ჯგუფი საანგარიშო პერიოდში არ ჩამოყალიბებულა.
[12] საანგარიშო პერიოდში ხელმისაწვდომია კვლევის პირველადი ვერსია.

II საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა

2 ამოცანა ▶ 6 ამოცანის შედეგის ინდიკატორი ▶ 9 აქტივობა ▶ 19 აქტივობის შედეგის ინდიკატორი

2019 III კვ. ▶ 2 აქტივობის შედეგის ინდიკატორი ▶ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო

- დამსახურებაზე დაფუძნებული კარიერული წინსვლის და ნეიტრალიტეტის პრინციპების განმტკიცების მიზნით, სამინისტროების დონეზე პროფესიული საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების სისტემის შექმნა და საჯარო სამსახურში მენეჯერულ პოზიციებზე პოლიტიკური ზეგავლენის პრევენციის ხელშეწყობა
- საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური გაძლიერება საჯარო სამსახურის შესახებ კანონის აღსრულების ხელშეწყობისა და ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით.





პასუხისმგებელი უწყება: სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო

ამოცანა 2.1: დამსახურებაზე დაფუძნებული კარიერული წინსვლის და ნეიტრალიტეტის პრინციპების განმტკიცების მიზნით, სამინისტროების დონეზე პროფესიული საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების სისტემის შექმნა და საჯარო სამსახურში მენეჯერულ პოზიციებზე პოლიტიკური ზეგავლენის პრევენციის ხელშეწყობა

აქტივობის შედეგის ინდიკატორები:

- პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის რეგულაციები შემუშავებულია
- აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამების რეიტინგები შექმნილია და მასზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია

2015 წლამდე არ არსებობდა სამართლებრივი აქტი, რომელიც მოხელეთა პროფესიული განვითარების სისტემურ საკითხებს დაარეგულირებდა. შედეგად, ჩატარებული ტრენინგები ქაოტურობით ხასიათდებოდა და არ ითვალისწინებდა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების რეალურ საჭიროებებს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონმა პირველად შექმნა სამართლებრივი საფუძველი ერთიანი პროფესიული განვითარების სისტემის შექმნისა და განვითარებისათვის. ფორმალურ-სამართლებრივ მხარესთან ერთად, ყურადღება გამახვილდა საკითხის რეგულირების ხარისხზე და მის შინაარსზე. შესაბამისად, კანონის საფუძველზე, 2018 წლის 22 მაისს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“.[13]

აღნიშნული დადგენილებით განისაზღვრა (1) პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესი და პროცედურა, (2) პროფესიული განვითარების სტანდარტი, ასევე (3) სავალდებულო პროფესიული განვითარების პროგრამების ხარისხის კონტროლის წესი.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი რეგულირების პრაქტიკაში დასანერგად, გაჩნდა საჭიროება:

- განსაზღვრულიყო პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის პირობები;
- შემუშავებულიყო პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულება და საფასური;
- მომზადებულიყო აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი;
- შექმნილიყო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო.

[13] საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის #242 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“.

მნიშვნელოვანი მიღწევები

შემუშავდა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის რეგულაცია

2019 წლის 6 მარტს დამტკიცდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N46/ნ ბრძანება „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა:

- პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტები, რომელიც აწესებს მინიმალურ მოთხოვნებს პროგრამის შინაარსობრივ მხარესთან და მისი განხორციელებისთვის საჭირო რესურსებთან დაკავშირებით;
- აკრედიტაციის სტანდარტებთან მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შესაბამისობის დადგენის მეთოდოლოგია;
- აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების წესი, როგორც ხარისხის შემოწმების მექანიზმი;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და საქმიანობის წესი;
- აკრედიტაციის საბჭოს უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესი - საბჭო ზეპირი მოსმენის საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში აკრედიტაცია მიენიჭა სამი სასწავლო ცენტრის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამებს, რომელთა ჩამონათვალი საჯაროდ ხელმისაწვდომია

- საანგარიშო პერიოდში შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა ექსპერტთა კორპუსის[14] წევრებით;
- საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2019 წლის 14 ივნისის N479/სა ბრძანებით, დამტკიცდა პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო, რომლის უფლებამოსილების ვადა ერთი წლით განისაზღვრა;
- საბაზისო პროგრამების[15] აკრედიტაციის მიზნით, სასწავლო ცენტრებმა მიმართეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციას;
- საანგარიშო პერიოდში, აკრედიტაცია მიენიჭა სამი სასწავლო ცენტრის[16] პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამებს.

საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომია სასწავლო ცენტრებისა და აკრედიტებული საბაზისო პროგრამების ჩამონათვალი.[17]

---

[14] განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 29 მარტის 227/ი ბრძანებით დამტკიცდა „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი“. ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში წარმოდგენილნი არიან გამოცდილების ფართო სპექტრის მქონე ექსპერტები პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

[15] საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით განისაზღვრა პროფესიული განვითარების პროგრამების ორი სახე: საბაზისო და დამატებითი. საბაზისო პროგრამა სავალდებულოა ყველა იმ პირისათვის, რომელიც ღია ან დახურული კონკურსის საფუძველზე პირველად ინიშნება მოხელის თანამდებობაზე დანიშვნიდან ერთი წლის განმავლობაში. დამატებით პროგრამებს საჯარო მოხელე გადის საჯარო დაწესებულების მიერ საჭიროების გამოვლენიდან ორი წლის განმავლობაში.

[16] სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრი, სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა.

[17] ჩამონათვალი ხელმისაწვდომია აქ.

მიმდინარე პროცესი

როგორც საბაზისო, ასევე დამატებითი სასწავლო პროგრამის გავლის შემდეგ, თითოეული მოხელე ვალდებულია შეაფასოს გავლილი სასწავლო პროგრამა, ხოლო საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო სამსახურის ბიუროს სასწავლო პროგრამის შეფასების შესახებ ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში მიაწოდოს ინფორმაცია, ბიუროს მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად. აღნიშნული შეფასებების განზოგადების საფუძველზე, ბიურო ელექტრონულ ვებგვერდზე განათავსებს ინფორმაციას სასწავლო დაწესებულებების/პროგრამების რეიტინგების შესახებ, რაც დამატებითი კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს.[18]

სამოქმედო გეგმა საანგარიშო პერიოდში სწორედ ასეთი რეიტინგის შექმნას ითვალისწინებდა. თუმცა, ვინაიდან სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესი საანგარიშო პერიოდის ბოლოს მიმდინარეობდა, საჯარო მოხელეებს აღნიშნული პროგრამები არ გაუვლიათ, შესაბამისად, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ზემოაღნიშნული რეიტინგი საანგარიშო პერიოდში ვერ შედგებოდა.

რეფორმის საბჭოს სამდივნოს შეფასებით, საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით 2019 წლის III კვარტლის ბოლოს მდგომარეობით დაგეგმილი აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულების მდგომარეობა ასეთია:

№	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	რეიტინგი	სტატუსი
1	პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის რეგულაციები შემუშავებულია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
2	აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამების რეიტინგები შექმნილია და მასზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

[18] „პროფესიული განვითარების სისტემა საქართველოს საჯარო სამსახურში“ (საჯარო სამსახურის ბიურო, 2019).

III ანგარიშვალდებულება

5 ამოცანა ▶ 5 ამოცანის შედეგის ინდიკატორი ▶ 14 აქტივობა ▶ 19 აქტივობის შედეგის ინდიკატორი

2019 III კვ. ▶ 1 აქტივობის შედეგის ინდიკატორი ▶ მთავრობის ადმინისტრაცია

- ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის პრინციპების განმტკიცების მიზნით, იმ სსიპ-ების ინსტიტუციური მოწყობის გადაწყვეტის შეთავაზება, რომლებიც ექცევიან საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში
- ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება არსებული მექანიზმის გაძლიერების მეშვეობით
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების ელექტრონული მონიტორინგის პრაქტიკის ჩამოყალიბება, რეკომენდაციებზე რეაგირების გაუმჯობესების მიზნით
- საჯარო სამსახურში ღია მმართველობის პოლიტიკის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრალურ დონეზე საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლება ქვეყნის ღია მმართველობის დღის წესრიგის შესახებ
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესება საჯარო დაწესებულებების ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშ-ვალდებულების გაზრდის მიზნით და მისი თანმიმდევრული გამოყენება პრაქტიკაში

რეიტინგი

- არ შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- სრულად შესრულდა

სტატუსი

- განხორციელების პროცესი არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი დასრულებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია

საქართველოს მთავრობის დღის წესრიგის მუდმივი საკითხია მმართველობის ღიაობის, გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება. რეფორმის საბჭოს სამდივნოს ინიციატივით, საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა აღარ იმეორებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ღია მმართველობის სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებულ აქტივობებს. აღნიშნული ინიციატივა ერთი მხრივ, გამორიცხავს აქტივობათა დუბლირებას, ხოლო მეორე მხრივ, აქცენტს აკეთებს ღია მმართველობის უზრუნველსაყოფად ახალ, რეფორმაზე ორიენტირებულ მიმართულებებზე.

ღია მმართველობის პროცესი საქართველოში

საქართველო 2011 წელს ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership - OGP) წევრი გახდა.

2014 წელს საქართველო OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრად ორწლიანი ვადით აირჩიეს.

2017 წელს საქართველო OGP-ის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა 1 წლის ვადით.

2018 წელს საქართველომ ღია მმართველობის პარტნიორობის მე-5 გლობალურ სამიტს თბილისში უმასპინძლა. ღონისძიებაში 70-ზე მეტი ქვეყნის, ასობით სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, აკადემიური წრისა და მედიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სამიტის ფარგლებში 80-მდე პანელი და სესია გაიმართა.

მიმდინარე 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა, ქვეყნის რიგით მე-4 გეგმაა.

2019 წლის აპრილამდე ღია მმართველობის სამოქმედო გეგმა მზადდებოდა ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის ფარგლებში, რომელიც აერთიანებს სახელმწიფო დაწესებულებებს, ადგილობრივ არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებს.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 აპრილის № 197 დადგენილების თანახმად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ფუნქციად განისაზღვრა OGP-ში საქართველოს წევრობის კოორდინირება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

აგრეთვე, ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესრულების მონიტორინგი, ანგარიშგება და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა OGP-ის მმართველი კომიტეტის არჩევნებში საქართველოს კანდიდატურა წარადგინა. შედეგად, 2019 წლის 1 აპრილს, გერმანიასთან და ინდონეზიასთან ერთად, საქართველო 3 წლის ვადით აირჩიეს ორგანიზაციის მმართველ კომიტეტში. კომიტეტში საქართველოს მთავრობას ადმინისტრაციის უფროსი წარადგენს.

ღია მმართველობის მიმართულებით საქართველოს მიღწევების და არსებული გამოწვევების გაანალიზების შედეგად, 2020 წლის პრიორიტეტებად განისაზღვრა: სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაძლიერება და ღია მმართველობის სფეროში კიდევ უფრო ამბიციური რეფორმების ინიცირება.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება OGP საქართველოს მაღალი რანგის საბჭოს შექმნის შესახებ. ფორუმი განაგრძობს საქმიანობას, როგორც საბჭოს სამუშაო ჯგუფი.

მიმდინარეობს მუშაობა ღია მმართველობა საქართველოს ონლაინ პლატფორმის (ვებგვერდი) შექმნაზე, სადაც განთავსდება ყველა საჭირო დოკუმენტი, სიახლე და საჯარო კონსულტაციების მოდული.

დაიწყო მუშაობა ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავებაზე.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

ამოცანა 3.4:

საჯარო სამსახურში ღია მმართველობის პოლიტიკის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრალურ დონეზე საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლება ქვეყნის ღია მმართველობის დღის წესრიგის შესახებ

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:

- ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგია შემუშავებულია; სტრატეგიის ერთ-ერთი კომპონენტი სრულად ეთმობა საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლებას

ქვეყანაში ღია მმართველობის ფარგლებში განხორციელებული რეფორმების შესახებ თანმიმდევრული და სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებისა და ღია მმართველობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის საჯარო მმართველობის სამმართველო) დაიწყო ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება.



საანგარიშო პერიოდში მომზადდა ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგიის სამუშაო ვერსია, რომლის განხორციელების შედეგად:

- გაიზრდება ღია მმართველობის შესახებ საჯარო მოხელეების, არასამთავრობო სექტორისა და მოქალაქეების ინფორმირებულობის დონე;
- გაიზრდება ღია მმართველობის პროცესებში სამიზნე ჯგუფების დაინტერესება და ჩართულობა;
- გაიზრდება საჯარო მოხელეთა მხარდაჭერა ღია მმართველობის პროცესების მიმართ;
- გაიზრდება საჯარო მოხელეთა ჩართულობა ახალი სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში;
- გაიზრდება არასამთავრობო სექტორის და მოქალაქეების ჩართულობა შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების მომზადებისა და განხორციელების პროცესში.



შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში" (GGI) მხარდაჭერით, ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ დაიწყო მუშაობა ღია მმართველობა საქართველოს ონლაინ პლატფორმის (ვებგვერდი) შექმნაზე. საანგარიშო პერიოდში მომზადდა ვებგვერდის დეტალური აღწერა.

ვებგვერდზე განთავსდება ინფორმაცია OGP-ის შესახებ; OGP-სა და ორგანიზაციის მმართველ კომიტეტში საქართველოს მონაწილეობის შესახებ; ხელმისაწვდომი გახდება OGP-სთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტები; ონლაინ პლატფორმაზე განთავსდება ინფორმაცია ღია მმართველობის პროცესებში საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალური ორგანოების, თბილისის მერიის ჩართულობის შესახებ; ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და საჯარო კონსულტაციების შესახებ.

რეფორმის საბჭოს სამდივნოს შეფასებით, ანგარიშვალდებულების მიმართულებით 2019 წლის III კვარტლის ბოლოს მდგომარეობით დაგეგმილი აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულების მდგომარეობა ასეთია:

№	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	რეიტინგი	სტატუსი
1	ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგია შემუშავებულია; სტრატეგიის ერთ-ერთი კომპონენტი სრულად ეთმობა საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლებას	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

IV სახელმწიფო სერვისების მიწოდება

7 ამოცანა ▶ 8 ამოცანის შედეგის ინდიკატორი ▶ 28 აქტივობა ▶ 35 აქტივობის შედეგის ინდიკატორი

2019 III კვ. ▶ 3 აქტივობის შედეგის ინდიკატორი ▶ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (1)

სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო (2)

- მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, მომხმარებლის ჩართულობის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფო სერვისების შექმნის ერთიანი სტანდარტის შემუშავება
- სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სერვისების მიწოდების ერთიანი, მომხმარებელზე ორიენტირებული სტანდარტის დანერგვის მეშვეობით
- სახელმწიფო სერვისების ხარისხის უზრუნველყოფა ხარისხის შემოწმებისა და გაუმჯობესების ერთიანი სტანდარტის დანერგვის მეშვეობით
- სახელმწიფო სერვისების ფასწარმოქმნის სამართლიანი და ეფექტური მიდგომის ჩამოყალიბება სერვისების ფასწარმოქმნის ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების გზით
- სახელმწიფო და კერძო სექტორის ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება My.gov.ge-ს გაძლიერების გზით
- ელექტრონული მმართველობის განვითარებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ურთიერთ თავსებადობის ჩარჩოს დანერგვა
- კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაძლიერება ცნობიერების ამაღლებითა და სასწავლო მეთოდოლოგიების შექმნის გზით





პასუხისმგებელი უწყება: სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

ამოცანა 4.1:

მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, მომხმარებლის ჩართულობის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფო სერვისების შექმნის ერთიანი სტანდარტის შემუშავება

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:

- სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების პოლიტიკის დოკუმენტი განხილულია დაინტერესებულ მხარეებთან და წარდგენილია მთავრობაზე განსახილველად

საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში, სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებით, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია სახელმწიფო სერვისების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და მომხმარებელთა კმაყოფილების დონის გაუმჯობესება. აღნიშნულის პრაქტიკაში განსახორციელებლად, ფუნდამენტურია სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დამტკიცება და პრაქტიკაში დანერგვა.

ერთიანი პოლიტიკის დანერგვა ემსახურება:

- სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას;
- სერვისის გამცემი უწყებების ღიაობის, ანგარიშვალდებულებისა და მომხმარებელზე ორიენტირებულობის გაუმჯობესებას;
- სახელმწიფო სახსრების უფრო ეფექტური ხარჯვის უზრუნველყოფას.

საანგარიშო პერიოდში მიღწეული პროგრესი

საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს ფარგლებში შექმნილ სახელმწიფო სერვისების მიწოდების სამუშაო ჯგუფთან აქტიური კონსულტაციების შედეგად, შემუშავდა პოლიტიკის დოკუმენტის საბოლოო ვერსია, რომელშიც გათვალისწინებულია სამუშაო ჯგუფის წევრების რეკომენდაციები და შემოთავაზებები.

ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესი რამდენიმე ეტაპად დაიყო, რაშიც სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მხარდაჭერას უწევდა გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP) და დიდი ბრიტანეთის მთავრობა:



მონიტორინგის ეტაპისთვის ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტი არ არის დამტკიცებული. დოკუმენტი საქართველოს მთავრობას კონსულტაციების ბოლო ორი ეტაპის (კონსულტაციები ყველა საჯარო უწყებასთან და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან) საბოლოო მოსაზრებებისა და კომენტარების გათვალისწინების შემდეგ წარედგინება.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტო

ამოცანა 4.5:

სახელმწიფო და კერძო სექტორის ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება My.gov.ge-ს გაძლიერების გზით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:

My.gov.ge-ს გამოყენების შესახებ ტრენინგები ჩაუტარდათ:

1. იუსტიციის სახლისა და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომლებს;
2. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს;
3. კერძო სექტორისა და მედიის წარმომადგენლებს;
4. სტუდენტებს

მიმდინარე სამოქმედო გეგმის ამოცანაა მომხმარებლისთვის მეტად ხელმისაწვდომი გახდეს ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი (My.gov.ge). ამ მიზნით, პორტალის პრაქტიკული დანიშნულების შესახებ ტრენინგების ციკლი სხვადასხვა აუდიტორიისთვის 2018 წელს დაიწყო და 2019 წლის საანგარიშო პერიოდში დასრულდა. აღნიშნული ტრენინგების ძირითად მიზანს ფართო საზოგადოებისთვის ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე განხორციელებული ძირითადი ცვლილებების, სანდო ელექტრონული სერვისებისა და ელექტრონული ხელმოწერის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და პრაქტიკული უნარჩვევების ამაღლება წარმოადგენდა. გეგმის შესაბამისად, ტრენინგების ფარგლებში გადამზადდა 450-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის:

- ✓ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები;
- ✓ კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები;
- ✓ სტუდენტები;
- ⊖ იუსტიციის სახლისა და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომ-ლები.

საანგარიშო პერიოდში, დაგეგმილი ტრენინგები არ ჩატარებულა იუსტიციის სახლისა და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომლებისთვის. აღნიშნული სამიზნე ჯგუფი 2018 წლის ტრენინგების ციკლის ფარგლებში გადამზადდა.

MY.GOV.GE-ს სერვისების გამოყენების სტატისტიკა საჯარო სერვისების მიმწოდებელი უწყებების მიერ 2018-2019 წლებში



MY.GOV.GE-ს გამოყენების ზოგადი სტატისტიკა 2018-2019 წლებში



შენიშვნა:

წინამდებარე ანგარიშის მიზანს ცდება საფუძვლიანი კვლევა იმის დასადგენად, თუ რამდენად მიზეზ-შედეგობრივია ზემოაღნიშნული ტრენინგები და საანგარიშო პერიოდში MY.GOV.GE-ს სერვისების გამოყენების დიაგრამაზე ნაჩვენები ზრდა, ვინაიდან აღნიშნული შესაძლოა ჩატარებულ ტრენინგებთან ერთად, პორტალის განვითარების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობის შედეგი იყოს.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო

ამოცანა 4.7:

კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაძლიერება ცნობიერების ამაღლებითა და სასწავლო მეთოდოლოგიების შექმნის გზით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:

- ელექტრონულ სატრენინგო პლატფორმაზე განახლებულია კიბერუსაფრთხოების საბაზისო სატრენინგო მასალა

მაღალი სტანდარტის მმართველობის უზრუნველსაყოფად, უმნიშვნელოვანესია კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევა და შენარჩუნება, რასაც შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის სპეციალისტები ესაჭიროება. ახალი სამოქმედო გეგმით ჩამოყალიბებული აქტივობები სწორედ ასეთი სისტემების დაცვას და ზოგადად, კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

საანგარიშო პერიოდში სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტომ დაიწყო ელექტრონულ სატრენინგო პლატფორმაზე (elearning.dea.gov.ge) განსათავსებელი კიბერუსაფრთხოების საბაზისო სატრენინგო მასალების განახლების პროცესი.

საანგარიშო პერიოდში განახლდა შემდეგი საბაზისო სატრენინგო მასალები:

- ელექტრონული ფოსტის უსაფრთხოება;
- პაროლების უსაფრთხოება და მენეჯმენტი;
- უსაფრთხო ვებ-ბრაუზინგი;
- პერსონალური კომპიუტერის უსაფრთხოება.

2019 წლის ბოლომდე იგეგმება შემდეგი მასალების განახლება:

- სმარტფონების უსაფრთხოება;
- ფიზიკური უსაფრთხოება;
- სოციალური ქსელების უსაფრთხოება;
- კიბერ-ინციდენტების მიმოხილვა;
- უკაბელო ქსელები;
- პერსონალური ინფორმაციის დაცვა;
- ინფორმაციული უსაფრთხოება;
- ინფორმაციის წყაროს იდენტიფიცირება.

საანგარიშო პერიოდში დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა კიბერუსაფრთხოების რიგით მესამე ეროვნულ სტრატეგიაზე. სწორედ ამ მიზეზით, შეზღუდული ადამიანური რესურსების გამო, გეგმით განსაზღვრულ პერიოდში ვერ მოესწრო მასალების განახლება 2019 წლის III კვარტლის ბოლოსთვის.

მასალების სრულად განახლება, მათი ვიზუალური დამუშავება და განახლებული მასალების პორტალზე elearning.dea.gov.ge განთავსება გეგმის მიხედვით 2019 წლის ბოლომდე დასრულდება. დამატებით ასევე მიმდინარეობს სატრენინგო მასალებზე ვიდეო გაკვეთილების მომზადება, რომლებიც პორტალის მომხმარებლებისთვისაც იქნება ხელმისაწვდომი.

მნიშვნელოვანი მიღწევები

CAF (საერთო შეფასების ჩარჩო) მეთოდოლოგია დანერგილია ერთ საპილოტე სერვისის მიმწოდებელ უწყებაში

- საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის სახელმწიფო სერვისების ქვეთავის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გეგმით განსაზღვრულ ვადაზე ადრე დაწყებული და მონიტორინგის ეტაპისთვის სრულად შესრულებული აქტივობა CAF-ის დანერგვის შესახებ.
- სსიპ - იუსტიციის სახლი სამხრეთ კავკასიის რეგიონში პირველი ორგანიზაციაა, რომელმაც ევროკავშირში შექმნილი და აპრობირებული ხარისხის მართვის საერთაშორისო მექანიზმი - საერთო შეფასების ჩარჩო (CAF) დანერგა.
- საერთო შეფასების ჩარჩო არის ინსტრუმენტი, რომელიც საჯარო სექტორს ეხმარება ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების/შესაძლებლობების გაზომვაში; პროდუქტებისა და სერვისების გაუმჯობესებაში, ორგანიზაციაში დასაქმებულ თანამშრომელთა მოტივაციის, კვალიფიკაციის, პროდუქტიულობის გაზრდაში, საქმიანობის შეფასებასა და ხარისხის მართვის სისტემის სრულყოფაში, კრიზისული სიტუაციების მართვაში, ორგანიზაციის მუდმივ განვითარებასა და წინსვლაში.
- 2019 წლის ივნისში დასრულდა მუშაობა იუსტიციის სახლის თვითშეფასების დოკუმენტზე. შედეგად, შეირჩა იუსტიციის სახლის პრიორიტეტული მიმართულებები და საქმიანობის გასაუმჯობესებლად ორწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავდა.

რეფორმის საბჭოს სამდივნოს შეფასებით, სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებით 2019 წლის III კვარტლის ბოლოს მდგომარეობით დაგეგმილი აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულების მდგომარეობა ასეთია:

№	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	რეიტინგი	სტატუსი
1	სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების პოლიტიკის დოკუმენტი განხილულია დაინტერესებულ მხარეებთან და წარდგენილია მთავრობაზე განსახილველად	ნაწილობრივ შესრულდა[19]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
2	My.gov.ge-ს გამოყენების შესახებ ტრენინგები ჩაუტარდათ: 1) იუსტიციის სახლისა და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომლებს 2) ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს 3) კერძო სექტორისა და მედიის წარმომადგენლებს 4) სტუდენტებს	ნაწილობრივ შესრულდა[20]	განხორციელების პროცესი დასრულებულია
3	ელექტრონულ სატრენინგო სისტემაზე განახლებულია კიბერუსაფრთხოების საბაზისო სატრენინგო მასალა	არ შესრულდა[21]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

[19] შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტის საბოლოო ვერსია, თუმცა დოკუმენტის მთავრობაზე წარდგენამდე, იგეგმება მისი გაზიარება ყველა სახელმწიფო უწყებასთან და შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან. შედეგად, აქტივობის შედეგის ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულებულია.

[20] 2019 წლის განმავლობაში დაგეგმილი ტრენინგები არ ჩატარებულა იუსტიციის სახლისა და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომლებისთვის. შესაბამისად, აქტივობის შედეგის ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულებულად შეფასდა.

[21] საანგარიშო პერიოდში არ განახლებულა სატრენინგო მასალების სულ მცირე ნახევარი (50%), შესაბამისად, აქტივობის შედეგის ინდიკატორი შეუსრულებელია.

V საჯარო ფინანსების მართვა



საჯარო ფინანსების მართვის სფეროში არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით, ბოლო წლებში არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა.

პროგრესს ადასტურებს, სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების 2017 წლის შეფასება[22]. ასევე, პროგრესზე მეტყველებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში მომზადებული საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების ანგარიში[23] და ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის მიერ გამოქვეყნებული ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა (2017),[24] რომლის მიხედვით, საქართველომ 82 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 115 ქვეყანას შორის და სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში მოექცა.

მიმდინარე სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საჯარო ფინანსების მართვის კომპონენტის მიზანს მთავრობის პრიორიტეტების შესაბამისად, საშუალოვადიანი დაგეგმვის მდგრადობის გაძლიერება, ფისკალური რისკების მართვის ეფექტიანობის გაძლიერება, საბიუჯეტო პროცესის მეტი გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა საჯარო ფინანსების მართვის კომპონენტში არ ითვალისწინებს 2019 წლის III კვარტლის მდგომარეობით შესასრულებელ აქტივობებს, თუმცა საანგარიშო პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა:

[22] სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) ეფექტიანობის შეფასების ანგარიში, საქართველო, ივნისი, 2018 წელი, ხელმისაწვდომია აქ.
[23] ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების ანგარიში, საქართველო, 2017 წელი, ხელმისაწვდომია აქ.
[24] ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა, 2017 წელი, ხელმისაწვდომია აქ.

ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების გაუმჯობესების მიზნით, ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო მაკროეკონომიკური და ფისკალური ინდიკატორების ანალიზისა და პროგნოზირებისათვის საერთო წონასწორობის დინამიკურ-სტოქასტიკური (DSGE) მოდელის დანერგვისათვის აუცილებელი

მომზადდა მოქალაქის გზამკვლევი 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით, რომელიც განახლდება ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ და რედაქტირებად ფორმატში განთავსდება ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე.

გზამკვლევის მეშვეობით ყველა დაინტერესებული პირი მიიღებს შემდეგ ინფორმაციას:

- რას ნიშნავს ტერმინი ბიუჯეტი;
- რა კომპონენტებისგან შედგება საბიუჯეტო სისტემა;
- რა ეტაპებისგან შედგება საბიუჯეტო პროცესი;
- რა სამართლებრივი საფუძვლებით წარიმართება საბიუჯეტო პროცესი;
- რა რეფორმები განხორციელდა და რა შედეგები იქნა მიღწეული საჯარო ფინანსების მართვის მიმართულებით;
- რა პრიორიტეტული მიმართულებები აქვს სახელმწიფო ბიუჯეტს.

USAID-ის მხარდაჭერით მომზადებული კონცეფციის საფუძველზე შემუშავდა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის ელექტრონული პორტალი (eBTPS – Budget Transparency and Participation System). 2020 წლიდან მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვისა და პროგნოზირების გაუმჯობესების მიზნით, ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო საერთო წონასწორობის დინამიკურ-სტოქასტიკური (DSGE) მოდელის დანერგვა. აღნიშნული მოდელის საბიუჯეტო პროცესში გამოყენება დაიწყება 2020 წლიდან.

სახელმწიფო საწარმოთა საზოგადოებრივი ინტერესის საწარმოებად იდენტიფიცირების მიზნით, მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

სახელმწიფო საწარმოთა სდპ-ებად განსაზღვრა მიზნად ისახავს:

- საწარმოთა ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდას;
- მათ მიმართ ნდობის ამაღლებას;
- პარტნიორების და მესამე პირების ინტერესების დაცვას.

VI ადგილობრივი თვითმმართველობა



საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა ადგილობრივი თვითმმართველობის კომპონენტში არ ითვალისწინებს 2019 წლის III კვარტლის მდგომარეობით შესასრულებელ აქტივობებს, თუმცა საანგარიშო პერიოდში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა თვითმმართველობების გაძლიერებისა და მათი უფლებამოსილებების გაფართოების მიზნით.

მნიშვნელოვანი მიღწევები

შემუშავდა დეცენტრალიზაციის სტრატეგიის (2019–2025) დოკუმენტის საბოლოო სამუშაო ვერსია

მმართველობის დეცენტრალიზაცია, რომელიც თვითმმართველობაზე მოქალაქეების ფუნდამენტური უფლების რეალიზაციას უკავშირდება, ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებასა და მათ გაძლიერებას გულისხმობს. დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შემუშავება მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისა, რომ მმართველობის სისტემამ ადეკვატურად უპასუხოს საზოგადოების მოთხოვნებს და უზრუნველყოს მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საანგარიშო პერიოდში, გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, შემუშავდა დეცენტრალიზაციის სტრატეგიის (2019-2025 წლების)[25] სამუშაო ვერსია, რომელიც განხილულია შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან (საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მუნიციპალიტეტები, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები). სტრატეგიის დოკუმენტი საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად 2019 წლის ბოლომდე წარედგინება.

[25] საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში აღნიშნული სტრატეგიის სახელწოდება ფორმულირებულია როგორც „ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის საშუალოვადიანი (2019-2015) სტრატეგია“.

შემუშავდა მუნიციპალიტეტებში დასანერგი ელექტრონული სერვისების აუცილებელი მოდულების ჩამონათვალი

ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების აუცილებელი კომპონენტია მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება. სწორედ ამ საკითხს ეხმიანება რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტებში დასანერგი ელ. სერვისების იდენტიფიცირების მიზნით, გაიმართა არაერთი შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან და მათთან კონსულტაციების შედეგად, შემუშავდა ელექტრონული სერვისების აუცილებელი მოდულების ჩამონათვალი. აღნიშნული სერვისები ელექტრონულ ფორმატში მოქალაქეებს ადგილობრივ დონეზე 2021 წლიდან მიეწოდებათ.

გამოწვევები, რისკები და რეკომენდაციები

გამოწვევები

განხორციელების ვადების არასწორად განსაზღვრა

დაგეგმვის ეტაპზე აქტივობის შესასრულებლად საჭირო სამუშაოს მოცულობის არასათანადოდ შეფასება და შესაბამისად, განხორციელების ვადების არასწორად განსაზღვრა:
რიგი აქტივობის შედეგის ინდიკატორთა შესრულება დადგენილ ვადებში ვერ მოესწრო, ზოგ შემთხვევაში კი პირიქით - აქტივობა დაგეგმილზე ადრე, უმეტესწილად ან სრულად შესრულდა, რაც დაგეგმვის ეტაპზე სამუშაოს მოცულობის არასათანადოდ შეფასებაზე მიუთითებს. მაგალითად, გეგმის ერთ-ერთი მოცულობითი და შრომატევადი აქტივობაა პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის მარეგულირებელი პაკეტის მომზადება, განხილვა, დამტკიცება და დაბეჭდვა.

მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში პაკეტი შემუშავდა, მისი შინაარსიდან და მიზნობრიობიდან გამომდინარე, კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო მომზადებულ მასალაზე სრულფასოვანი კონსულტაციის გამართვა პროცესში ჩართულ საჯარო დაწესებულებებთან და სხვა პარტნიორებთან. აღნიშნულის განხორციელებას გეგმით განსაზღვრულზე მეტი დრო დაეთმო. ანალოგიურად, დოკუმენტის შინაარსიდან და მოცულობიდან გამომდინარე, სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტის საფუძვლიან განხილვას დაგეგმილზე მეტი დრო დასჭირდა.

ადამიანური რესურსის ნაკლებობა

ადამიანური რესურსების სიმცირე შესაძლოა გამოწვევად აღინიშნოს რამდენიმე შემთხვევაში. მაგალითად, სამოქმედო გეგმის 4.7. ამოცანის ფარგლებში არასაკმარისი ადამიანური რესურსის გამო ელექტრონულ სატრენინგო პლატფორმაზე სრულყოფილად ვერ განახლდა კიბერუსაფრთხოების საბაზისო სატრენინგო მასალები.

თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული გამოიწვია სხვა მსხვილი ვალდებულებების პარალელურ რეჟიმში შესრულების საჭიროებამ. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში რესურსის დიდი ნაწილი დაეთმო კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებას, რაც საკმაოდ კომპლექსური და მოცულობითი სამუშაოა.

აქტივობათა დუბლირება

პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა (აქტივობა 1.2.3), თავისთავად მოიცავს ანტი-კორუფციული საბჭოს პოლიტიკის დოკუმენტების ანალოგიური ციკლის ელექტრონულ პლატფორმაზე გადატანის აქტივობას (აქტივობა 1.3.1-1.3.2). ამასთან, პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს მიხედვით, სავალდებულო ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების მთავრობის ერთიან ელექტრონულ სისტემაში განხორციელება.

რეკომენდაციები

არსებული გამოწვევებისა და რისკების ანალიზის საფუძველზე, რეკომენდებულია:

- სამდივნოსთან მჭიდრო კოორდინაციით, პასუხისმგებელმა უწყებებმა უზრუნველყონ შემდგომ კვარტლებში განსახორციელებელი აქტივობების დეტალური ანალიზი, რათა სწორად განისაზღვროს მათი განხორციელებისთვის საჭირო დრო და ადამიანური რესურსი;

- საანგარიშო პერიოდში გაწეული სამუშაოს შეფასების საფუძველზე, დეტალურად გადაიხედოს აქტივობათა განხორციელების გეგმით განსაზღვრული ვადები და ჩამორჩენის შემთხვევაში, გაიწეროს ახალი თარიღები;

- საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი ეტაპის დაგეგმვის პროცესში, სამდივნოსთან მჭიდრო კოორდინაციით, პასუხისმგებელმა უწყებებმა გამორიცხონ აქტივობათა დუბლირების მაგალითები, რათა თავიდან აიცილონ დროის, ფინანსური და ადამიანური რესურსის არასწორი ხარჯვა.

რისკები

აღწერილი გამოწვევების აღმოსაფხვრელად, შემუშავებული რეკომენდაციების ვერ გათვალისწინების შემთხვევაში, არსებობს მაღალი რისკი, რომ სამოქმედო გეგმის ამოცანები დადგენილ ვადებში ვერ შესრულდება, ვინაიდან თითოეული აქტივობის განხორციელება სწორედ ამოცანის შედეგის მიღწევას ემსახურება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, აღმოიფხვრას ხარვეზები, რომლებმაც საანგარიშო პერიოდში აქტივობათა განხორციელების პროცესი შეაფერხა.

დანართი:

საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჩარჩო (2019 წლის III კვარტლის ბოლოს მდგომარეობით).

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ეს ანგარიში შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით “საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში” პროექტის ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს